RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველოს იდენტობის მოგბილიზაცია: მასპინძლობის სექტორი კორონომიკის პირობებში

ნატალია დინელო

145

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ნატალია დინელო

საქართველოს იდენტობის მობილიზაცია: მასპინძლობის სექტორი კორონომიკის პირობებში

145

2020

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-2775-4

საქართველოს იდენტობის მობილიზაცია: მასპინძლობის სექტორი კორონომიკის პირობებში*

„სტუმარი ღვთისაა“, – ამბობს ცნობილი ქართული ანდაზა. ხელგაშლილობა და სტუმართმოყვარეობა საქართველოში ეროვნული თვითმყოფადობის მთავარი განმსაზღვრელი მახასიათებლები და ტრადიციებია. ქართულ პოეზიაში ღირსებასთან, სიმამაცესთან, გამბედაობასა და ახლობის ერთგულებასთან ერთად სტუმართმოყვარეობაც უმთავრესი ღირებულებაა. საქართველოს ოქროს ხანის მთავარ ნაწარმოებში – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მეფე თავის ქალიშვილს ასწავლის, რომ ქვეყნისა და ხალხის მართვისას იყოს უხვი:

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;

უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“.[1]

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველო იბრძოდა საკუთარი უნიკალური იდენტობის შესანარჩუნებლად. მძლავრ იმპერიებს შორის მოქცეული, ხან რომაულ-სპარსული მეტოქეობის გავლენას განიცდიდა, ხან, მოგვიანებით, ბიზანტიურ-ისლამური კონფლიქტებისა. სამი საუკუნის განმავლობაში მასზე ხან ოსმალეთის იმპერია ბატონობდა და ხან ირანის. შემდეგ იყო საქართველოს ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ, მე-19 საუკუნის დასაწყისში, და დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა, შემდეგ, 70 წელი – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა. მთელი ისტორიული ბრძოლების, მრავალრიცხოვანი შემოსევების, ქვეყნის დანაწევრებისა და განადგურების განმავლობაში საქართველომ შეძლო დაემტკიცებინა, რომ გეოგრაფია არის არა მისი ბედისწერა, არამედ მისი სიძლიერისა და სიმტკიცის გამოცდა. დაპირისპირებებისა და

* წინამდებარე ნაშრომი დიდწილად შედეგია ამერიკის მხრიდან ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პოლიტიკური მართვის უმაღლეს სკოლასა და საქართველოს მხრიდან „სექტორი 3 – ჰაბი განვითარებისთვის“, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრსა და „პროდემოსის“ ფონდს შორის თანამშრომლობისა. კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, ჩვენ მოვახერხეთ 2-5 მაისს ჩაგვეტარებინა ერთობლივი ონლაინპროგრამა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მაღალი რანგის ქართველი თანამდებობის პირები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. იმედი გვაქვს, ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. მინდა მადლობა გადავუხადო „სექტორ 3-ის“ თანამშრომლების ქეთევან ჩაჩავას, მარგალიტა შაქარაშვილისა და ლუკა კურდღელიას წინამდებარე წერილის მომზადებაში გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის. ასევე მადლობა მინდა მოვახსენო რაჰატ ჩარიევს, კორონდიას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების სტუდენტს, წყაროების მოძიებისას გაწეული დახმარებისთვის.

რყევების მიუხედავად, საქართველოს იდენტობა გადარჩა და კიდევ უფრო გაძლიერდა 1991 წელს მოპოვებული ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობით.

დღეს კი, კორონავირუსის (COVID-19) გლობალური პანდემია კიდევ ერთი გამოცდაა საქართველოსთვის. ჯანმრთელობის კრიზისმა გამოიწვია კორონომიკა – გლობალური ეკონომიკის ახალი მდგომარეობა, რომელიც თვისებრივად განსხვავდება წინა ეკონომიკური რეცესიისაგან, სავარაუდოდ, უფრო დიდხანს გაგრძელდება და მეტწილად არაპროგნოზირებადი იქნება[2]. მიეკუთვნება რა „შავი გედის მოვლენების" კატეგორიას, რაც ნიშნავს, რომ აქვს მცირე ალბათობა, თუმცა დიდი ზემოქმედება, კორონომიკა მოიცავს საგანგებო ვითარებას როგორც ჯანმრთელობის, ისე ეკონომიკის სფეროში.

ამ ორმაგი კრიზისის პირობებში, გზა რომელიც საქართველომ გაიარა, მეტყველებს ქვეყნის ჟინსა და სიმტკიცეზე – თვისებებზე, რომელთაც ღრმად აქვთ ფესვები გადგმული ქვეყნის ისტორიაში. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების შემდგომ ვითარებას, ქვეყანას შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდეც თავისი კულტურული მემკვიდრეობა და საკუთარი იდენტობის ძირითადი მახასიათებლები აღდგენისა და წინსვლის საშუალებად.

კორონავირუსის პანდემიის მართვა

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის COVID-19-ის შეფასებით, მსოფლიოში კორონავირუსის დადასტურებული რაოდენობა 16 მილიონს უახლოვდება, ხოლო ამ დროისათვის რეგისტრირებულია პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური სიკვდილიანობის 640 000-ზე მეტი შემთხვევა[3]. საქართველო, რომლის მოსახლეობა 4 მილიონამდეა[4], გადაურჩა კორონავირუსის გავრცელების ყველაზე ცუდ ვარიანტს. 13 აგვისტოსთვის ქვეყანაში დაფიქსირდა 1 283 შემთხვევა და მხოლოდ 17 ადამიანი იყო გარდაცვლილი[5]. შედარებისთვის, მეზობელ სომხეთს, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით სამი მილიონი ადამიანია[6], იმავე თარიღისთვის ჰქონდა დაინფიცირების 41 000-ზე მეტი დადასტურებული და გარდაცვალების 809 შემთხვევა[7].

საქართველოში კორონავირუსის შეზღუდული გავრცელება და დაღუპულთა დაბალი მაჩვენებელი არის მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების შემდეგი ოთხი კატეგორიის აქტიურობის შედეგი: 1) ადრეული გაფრთხილება და ადრეული დამცავი და პრო-

ფილაქტიკური ზომები, 2) ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიები, 3) ეპიდემიოლოგიური ტესტირებები და 4) კარანტინის შემოღება.

პირველ კატეგორიასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო იანვრის დასაწყისიდან ჩინეთიდან ყველა ჩამოსული პირის სხეულის ტემპერატურის სკრინინგი. იმ ქვეყნებიდან ფრენების აკრძალვა, რომლებიც ეპიდემიის აფეთქების (პირველ რიგში, ჩინეთი) ცხელ წერტილებად იქცა, 28 იანვარს დაიწყო, რასაც 18 მარტს საერთაშორისო ფრენების სრული აკრძალვა მოჰყვა. მარტის შუა რიცხვებში დაიხურა სკოლები და შემოღებულ იქნა შეზღუდვები საზოგადოებრივ თავშეყრაზე. 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, აიკრძალა მოძრაობა ღამის განმავლობაში და საგანგებო წესების დარღვევისთვის მძიმე ჯარიმები დაწესდა[8].

მეორე კატეგორიის მიხედვით, მას შემდეგ, რაც 26 თებერვალს საქართველოში დაფიქსირდა COVID-19-ის პირველი შემთხვევა, სახელმწიფო ინსტიტუტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაატარეს ვრცელი საინფორმაციო კამპანიები ახალი ვირუსის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. გამოიყენეს მრავალი შემოქმედებითი, მაგრამ მარტივი მიდგომა, რათა საზოგადოებისთვის ეფექტიანად გაეცნოთ ვირუსის სიმპტომები, საფრთხეები და ზომები. მათ შორის იყო პურზე საინფორმაციო სტიკერების მიკვრა, მრავალჯერადი სასურსათო ჩანთების განაწილება საქართველოს 10 რეგიონში, რომლებზეც დატანილი იყო COVID-19-ის პრევენციის აღწერილობა, ასევე, გადაუდებელი დახმარების ცენტრისა და ერთიანი ცხელი ხაზის საკონტაქტო ინფორმაციის ფართოდ გავრცელება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრსა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას შორის კოორდინაციის, ასევე განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის რაციონალური დაგეგმვისა და ევროკავშირისა (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა საზოგადოებისთვის საჭირო მითითებებისა და რჩევების დროულად მიწოდება. საქართველოს მოსახლეობის მრავალეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით, ინფორმაცია მომზადდა და გადაიცემოდა შესაბამის ენებზე. ამან შეუწყო ხელი დაეცვათ მოსახლეობის სხვადასხვა თემი[9].

მესამე შემთხვევაში, ლუგარის ლაბორატორიამ, ოფიციალურად – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ცენტრმა, რო-

მელიც აშშ-ის ყოფილი სენატორის – რიჩარდ ლუგარის სახელს ატარებს, მოახერხა გადაუდებელი დახმარების განყოფილების გააქტიურება იანვრის დასაწყისში და სწრაფად გაამახვილა ყურადღება COVID-19-ის ტესტირებაზე. დაარსდა რა აშშ-ის მთავრობის დაფინანსებით, დაავადებების გავრცელების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით და წარმოადგენს რა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ნაწილის, ლუგარის ლაბორატორიამ არსებითი როლი შეასრულა კორონავირუსის შემთხვევების გამოვლენისა და პანდემიის გავრცელების თავიდან აცილების საქმეში[10]. ლაბორატორიის ბიოუსაფრთხოების მაღალმა დონემ და მოწინავე ტექნოლოგიამ უზრუნველყო ტესტირების ეფექტიანობა[11]. ლუგარის ლაბორატორიის გარდა, 2020 წლის ივლისისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით 19 ლაბორატორია იკვლევდა კორონავირუსს 30000 PCR (პოლიმერიზირებული ჯაჭვური რეაქციის) გამოკვლევით, რომელიც ჩატარდა მილიონ ადამიანზე[12]. აშშ-ის გადასახადის გადამხდელთა მიერ დაფინანსებული ლაბორატორიები, მსგავსად საქართველოს ლუგარის ლაბორატორიისა, COVID-19-ს ებრძვიან ასევე სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და უზბეკეთში[13].

მეოთხე შემთხვევაში, მთავრობამ თავისი ათასობით მოქალაქე საკარანტინო საშუალებებით უზრუნველყო: ინფექციის მაღალი გავრცელების ადგილებიდან დაბრუნებული მოგზაურები ორი კვირის განმავლობაში ნებაყოფლობით იზოლაციაში იყვნენ მაშინაც კი, როცა მათ კორონავირუსის სიმპტომები არ ჰქონდათ. 3 მაისს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სტუდენტებთან საუბრისას, ონლაინპროგრამის ფარგლებში, მარიამ ქვრივიშვილმა, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ როგორც ძვირადღირებულ, ისე მცირე ზომის სასტუმროებში იმ დროისთვის 20 000-ზე მეტი ადამიანი იყო განთავსებული, კარანტინში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს უსაფრთხო ტრანსპორტირებასა და დაბინავებას, ჰიგიენის სათანადოდ დაცვასა და კვების უზრუნველყოფას.

კორონომიკური კრიზისი

გლობალური ეკონომიკა დღეს 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე მწვავე ვარდნას განიცდის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, ის 2020 წელს, პანდემიის შედეგად, სამი პროცენტით შემცირდება, რაც მნიშვნელოვნად

უარესი ვარდნაა, ვიდრე 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს იყო[14]. მსოფლიო ბანკის უახლესი პროგნოზების თანახმად, წელს გლობალური ეკონომიკა 5,2 პროცენტით შემცირდება. მოსახლეობის ერთ სულზე – ეკონომიკის ასეთივე უდიდესი ვარდნა იყო 1870 წელს[15]. ინვესტორთა შიში აისახა Dow და FTSE საფონდო ბირჟებზეც – წლის პირველი სამი თვის განმავლობაში, 1987 წლის შემდეგ, ყველაზე დიდი კვარტალური ვარდნა იყო[16].

ყველაზე მეტად დაზიანდა მოგზაურობის ინდუსტრია: 100-ზე მეტი ქვეყნის მთავრობამ, ვირუსის შეკავების მიზნით, მოგზაურობის შეზღუდვები შემოიღო, რამაც გლობალური მასშტაბით საჰაერო ფრენების რაოდენობა არნახულად შეამცირა, მომხმარებლებმა გააუქმეს დაგეგმილი მივლინებები და დასვენება[17]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (UNWTO) მოგზაურობისა და ტურიზმის შემცირებას წელს 44 პროცენტით განიხილავს და 2020 წელს საერთაშორისო ტურისტების ჩამოსვლის 58-დან 78 პროცენტამდე შემცირებას ელოდება, რაც დამოკიდებული იქნება ვირუსის შეკავების სისწრაფესა და სამოგზაურო შეზღუდვებისა და საზღვრების ჩაკეტვის ხანგრძლივობაზე[18].

სამწუხაროდ, საქართველომ ვერ შეძლო კორონომიკური კრიზისისგან თავი დაეცვა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აპრილის ანგარიშით, 2020 წელს მოსალოდნელი იყო ეკონომიკის 4-პროცენტიანი კლება, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სომხეთის მაჩვენებელს, სადაც ეკონომიკის შემცირება 1,5 პროცენტით იყო ნავარაუდევი[19]. მსოფლიო ბანკის ივნისის პროგნოზები კიდევ უფრო მწვავე აღმოჩნდა და საქართველოში 4,8-პროცენტიან ეკონომიკურ შემცირებას, ხოლო სომხეთში 2,8 პროცენტიან შემცირებას ვარაუდობდა[20]. კორონომიკური კრიზისის სერიოზული შედეგები საქართველოსთვის გასაკვირი არ არის, თუკი გავითვალისწინებთ მისი ეკონომიკის სტრუქტურასა და მსოფლიოსთვის გახსნილობას.

ტურიზმის – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული ინდუსტრის – წილმა 2019 წელს საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტში (GDP) 8,1 პროცენტი შეადგინა. სარგებელი მოიტანა როგორც 1 600 ერთეულით გაზრდილმა განთავსების ადგილებმა, ისე 43 ავიახაზის პირდაპირმა ფრენამ 35 ქვეყნიდან[21]. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის არაკომერციული საბჭოს ფართო შეფასებით, 2018 წელს საქართველოს GDP-ის 31,3 პროცენტი დამოკიდებული იყო მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაზე, აქვე შედის დაკავშირებული დაწესებულებები და ბიზნესი, ანუ სასტუმროები, რესტორნები, ღონისძიებების დაგეგ-

მვა, პარკები, ტრანსპორტი, სუპერმარკეტები და მაღაზიები[22]. 2018 წელს ტურიზმმა ქვეყნის ექსპორტის 45 პროცენტი შეადგინა, ხოლო საერთაშორისო სტუმრების წილი 75 პროცენტი იყო[23].

ბიზნესსა და დასვენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოგზაურობის შეჩერებამ და შიგა მოგზაურობის შეზღუდვამ, რომელსაც დაემატა ქვეყანაში შემოღებული ჩაკეტვის ზომები, სტუმარმასპინძლობის მთელი სექტორი უპრეცედენტოდ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პოლიტიკის ინსტიტუტის (ISET-PI) კვლევამ აჩვენა, რომ კორონავირუსის აფეთქების გამო ტურიზმის სექტორის შეჩერების შედეგად, საქართველომ შეიძლება დაკარგოს 514 მილიონი აშშ დოლარიდან 2,01 მილიარდ აშშ დოლარამდე[24]. გლობალური მოგზაურობის შეჩერების შედეგად, მოსალოდნელია 2020 წელს ტურიზმის შემოსავლების 65 პროცენტით შემცირება[25]. საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური მიმოხილვის თანახმად, ქვეყნის ტურიზმის სექტორმა 2020 წლის ექვსი თვის განმავლობაში უკვე დაკარგა ერთი მილიარდი აშშ დოლარი.

გლოვის ზარი თუ შესაძლებლობის ფანჯარა?

კორონომიკა შესაძლოა გლოვის ზარად რეკდეს ტურისტული ინდუსტრიისთვის. ზოგი ამტკიცებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის დანაკარგი მოგზაურობასა და ტურიზმზე მისი დამოკიდებულების პროპორციული იქნება: ამ დამოკიდებულებით საქართველო ჯდება კაიმანის კუნძულებსა და კამბოჯას შორის[26]. ქართველი ეკონომისტი მერაბ ჯანიაშვილი „დიდ შეცდომად“ მიიჩნევს ეკონომიკის დაფუძნებას ისეთ მოწყვლად სექტორზე, როგორიცაა ტურიზმი, და მის მთავრობის მხარდაჭერისთვის პრიორიტეტულ სფეროდ ქცევას[27].

მართლაც, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია მგრძნობიარეა როგორც ეკონომიკური კრიზისების, ასევე პოლიტიკური კონფლიქტების მიმართ. ამ დაუცველობის მაგალითად გამოდგება რუსეთის ფედერაციის მიერ 2019 წლის ივნისში ორ ქვეყანას შორის პირდაპირი ფრენების აკრძალვა, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა საქართველოს ტურიზმის სექტორზე[28]. ეს შეზღუდვა, შემოღებული პროტესტის საპასუხოდ, რომელიც გამოიწვია რუსეთის დუმის დეპუტატ გავრილოვის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამში მოკალათებამ და იქიდან მართლმადიდებელი ქვეყნების სა-

პარლამენტო ასამბლეის გაძღოლამ, აისახა არა მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დაძაბვაზე, არამედ საქართველოს GDP-ის 0,6-პროცენტიან კლებაზეც[29].

ეკონომიკისთვის არც „ყველა კვერცხის ერთ კალათაში მოთავსებაა“ კარგი. აუცილებელია დივერსიფიკაცია და უნდა განვითარდეს საქართველოს ეკონომიკის სხვა სექტორები, შესაძლოა, ეს იყოს წარმოება და საინფორმაციო ტექნოლოგიები. თუმცა, ტურიზმი და სტუმარმასპინძლობა უნდა იყოს და შეიძლება იყოს საქართველოს ეკონომიკის ძრავა, რადგან იგი არსებითად უკავშირდება სხვა ტრადიციულ და ძალიან დაფასებულ წარმოებას, როგორიცაა ღვინისა და კვების სექტორები, ასევე სოფლის მეურნეობა, რომელსაც ჯერ კიდევ მცირე მასშტაბი აქვს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თანახმად, „წინა კრიზისმა აჩვენა ტურიზმის შესაძლებლობა, სწრაფად და ძლიერად აღიდგინოს ძალები გარე შოკების შემდეგ“ და რომ „ტურიზმი ხელს უწყობს პირდაპირი და, მისი მულტიპლიკაციური ეფექტის საშუალებით, ასევე არაპირდაპირი გზით, გლობალური სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკის აღდგენას“[30]. ახლა დროა ვაჩვენოთ, რომ მასპინძლობის ინდუსტრიის მოწყვლადობა შეიძლება დაიძლიოს და რომ საქართველომ შეიძლება თავი გაართვას აღდგენის სტრატეგიის განხორციელებას.

იმის გათვალისწინებით, რომ დრო ფულია და პანდემიის მენეჯმენტში საქართველოს უპირატესობებით სარგებლობის შედარებით ნაკლები შესაძლებლობა აქვს, საქართველომ 15 ივნისს განაახლა შიგა ტურიზმი და გარკვეული შეფერხების შემდეგ, 1 სექტემბრიდან გეგმავდა, კარი გაეხსნა უცხოელი ტურისტებისთვის. ქვეყნის კარის გასახსნელად შემუშავებული ლოზუნგი – „საქართველო – უსაფრთხო მიმართულებაა“ – გამართლებულია უნიკალური გამოცდილებით და უნარ-ჩვევებით, რაც ტურიზმის ინდუსტრიამ შეიძინა პანდემიის დროს[31]. ამ ლოზუნგის პრაქტიკაში გადატანა გულისხმობს უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვას სასაზღვრო პუნქტებზე, აეროპორტებსა და სტუმრების საცხოვრებლებში; გიდებისთვის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ქვეყნებს შორის უსაფრთხო დერეფნების შექმნას.

ტურიზმის ინდუსტრიის, როგორც საერთაშორისო ლიდერის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შემოგვთავაზა ფისკალური და მონეტარული სტიმულირების პოლიტიკა. ტურიზმის ინდუსტრიის დასახმარებლად ერთი მილიარდი ლარის (312 მილიონი აშშ დოლარი) პაკეტს[32], მათ შორის, ოთხთვიან საგა-

დასახადო არდადეგებსა და სესხის დაფარვის დახმარებას, ემატება 18 000 კომპანიის დახმარება, 50 000-ზე მეტი თანამშრომლით, დაახლოებით 100 მილიონი ლარით (33 მილიონი აშშ დოლარი)[33] და დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის დაბრუნება ბიზნესისთვის ფულადი სახსრების მოძრაობაში დასახმარებლად[34].

2020 წლის ბიუჯეტში ტურიზმის ინდუსტრიისთვის განკუთვნილი კაპიტალური ხარჯები 300 მილიონი ლარით გაიზარდა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სააგენტო „აწარმოე საქართველოშისაც“ ფინანსური მხარდაჭერის პროგრამით შეეშველა. ფულადი ღონისძიებები გულისხმობდა ტურიზმის ინდუსტრიაში მოქმედი კომპანიების სესხების რესტრუქტურიზაციასა და კლიენტებისთვის სესხების გადასახადის შეჩერებას[35]. UNWTO-მ მოიწონა საქართველოს მიერ შემოღებული ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების გადავადება ტურიზმის სექტორის კომპანიებისთვის, მათი ვალების რესტრუქტურიზაცია და მთავრობის მიერ მცირე სასტუმროებისთვის სესხების პროცენტის გადახდა[36].

ამრიგად, მთავრობის მხარდაჭერა ითვალისწინებს UNWTO-ის მთავარ რეკომენდაციებს ჯანმრთელობისა და ეკონომიკური საგანგებო სიტუაციების შემდეგ მოგზაურობისა და ტურიზმის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს კრიზისის მენეჯმენტსა და ზემოქმედების შერბილებას, სტიმულირების უზრუნველყოფას, აღდგენის დაჩქარებასა და მომავლისთვის მზადებას[37]. მრავალმხრივი და ორმხრივი ფინანსური დახმარება საქართველოს გაუადვილებს ამ რეკომენდაციების განხორციელებას. მაგალითად, 73,1 მილიონი ევროა მსოფლიო ბანკის ჯგუფის სასესხო დაფინანსება, რომელიც განკუთვნილია COVID-19-ის გადაუდებელი შემთხვევების რეაგირების პროექტისათვის[38].

იდენტობის მობილიზება

საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება იცნობს, როგორც სტუმართმოყვარე და ხელგაშლილ ქვეყანას. აქ სტუმარმასპინძლობის სექტორში უკვე ჩადებულია დიდი ინვესტიციები ფინანსური, მარკეტინგისა და უნარების განსავითარებლად. მიუხედავად იმისა, რომ კორონომიკამ შეაფერხა ამ ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდების ზრდის ტენდენცია, ტურისტულ სექტორს შეუძლია შედარებით სწრაფად აღიდგინოს ძალები, წინა კრიზების გამოცდილების გათვალისწინებით. ეს აღდგენა ხელს შეუწყობს ასევე დაკავშირებული წარმოებისა და მომსახურების სტიმულირებას და დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე.

ამის კარგი მაგალითია სტუმარმასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებული წარმოება – მეღვინეობა, რომელიც ბოლო ათწლეულებია განაპირობებს ქვეყნის მიმართ მსოფლიოს ინტერესს. საქართველოს, როგორც მეღვინეობის აკვნის, პოპულარიზაცია, სადაც ღვინის წარმოების პირველი კვალი ძვ. წ. 6 000 წლით თარიღდება[39], ხოლო ღვინო, ქართული ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლო, ლოგიკურად უკავშირებს ღვინის წარმოებას ღვინისა და კვების ტურიზმს. „ქართული სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნებას“ ქვეყანაში ჩამომსვლელი უცხოელი ვიზიტორების 66,6 პროცენტი მოგზაურობის მთავარ მოტივად ასახელებს[40]. „ვაზის ჯვრიდან“, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი სიმბოლოდან დაწყებული და საეკლესიო ხუროთმოძღვრებითა და ფერწერული ტილოებით, სადაც ვაზის ფოთოლი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოტივია, და საგალობლით „შენ ხარ ვენახი“ გაგრძელებული, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო სიმღერაა, დასტურდება, რომ საქართველო მეღვინეობისა და ღვინის უნიკალური კულტურის ქვეყანაა და ეს მიმზიდველობას ჰმატებს საქართველოში მოგზაურობას.

ამრიგად, ეკონომიკის მიღმა, მასპინძლობის სექტორი ხელს უწყობს გაიცნონ ქართული კულტურა, კულტურული ურთიერთობები, ურთიერთგაგება, სოლიდარობა და მშვიდობა. სტუმარმასპინძლობას შეუძლია დაეხმაროს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის საქმეს, შეამსუბუქოს ან თუნდაც მოაგვაროს კონფლიქტები თუ მოაშუშოს ძველი ჭრილობები. მისი მდგრადობა დიდწილად დამოკიდებულია გლობალურ და რეგიონალურ უსაფრთხოებასა და სახალხო დიპლომატიაზე. როგორც მარიამ ქვრივიშვილმა აღნიშნა, ქვეყნის ვიზიტორები უფრო სტუმრებად აღიქმებიან, ვიდრე უბრალო ტურისტებად. ამგავრი მოპყრობა კი არის ორგანული და ნამდვილი და შეესაბამება სტუმართმოყვარეობის ქართულ კულტურას.

საქართველოს უნიკალური იდენტობის კიდევ ერთი მახასიათებელია შეუპოვრობა, რაც გამოიხატა კორონავირუსის პანდემიასთან მედგარი ბრძოლით. ქვეყანამ ასევე გამოავლინა რესურსების, კრეატიულობისა და ადაპტაციისა თუ ინოვაციის შესაძლებლობა მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის სფეროში, რათა ეს ბრძოლა წარმართულიყო საკარანტინო გზით, უზრუნველყოფილიყო საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთიდან დაბრუნება და ამასთან დაკავშირებული ზოგი ტიპის გაყიდვები და მომსახურება გადასულიყო ონლაინსივრცეში[41].

საშინაო და საერთაშორისო ტურიზმის განახლების მცდელობით საქართველო აჩვენებს, რომ არ გაურბის საფრთხეებს. თუმცა ჯანმრთელობის კრიზისის ფონზე, რომელიც კვლავ მძაფრადაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მისი გამბედაობა არასაიმედო ბიზნესსეგმენტში ხელახლა შესასვლელად განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

მასპინძლობის სექტორმა უნდა შეასრულოს დანაპირები, განსაკუთრებით, უსაფრთხოების კუთხით. უსაფრთხოების სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების დანერგვა, უსაფრთხო დერეფნების შექმნა და ტურისტების ე.წ. „მწვანე ზონებში“ განთავსება, სადაც კორონავირუსის შემთხვევები არ არის, კვლავ მისწრაფებების საკითხია. ამასთან, საქართველოს ახალი იმიჯის, როგორც უსაფრთხო მიმართულების მატერიალიზებისთვის საჭირო იქნება მაღალი დისციპლინა, დეტალებისადმი დაჟინებული ყურადღება და წესებისა და სახელმძღვანელო მითითებების ზედმიწევნით დაცვა.

ძალაში რჩება ახალი სამეწარმეო მოდელების შემუშავება და დანერგვა, თანამშრომლობის გაღრმავება და ქსელების განვითარება და მასპინძლობის საქმეში ჩართული პერსონალის ფართო ტრენინგის პროცესი. არსებული კრიზისი გამოყენებული უნდა იყოს ტურიზმის სისტემის გადააზრებისათვის, რათა ის უფრო მდგრადი და გამძლე გახდეს საგარეო შოკების მიმართ. მომავლის ხელახალი წარმოდგენა შეიძლება და უნდა მოხდეს UNWTO-თან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელსაც სიმბოლურად ხელმძღვანელობს ქართველი პოლიტიკოსი და დიპლომატი ზურაბ პოლოლიკაშვილი. მისი სიტყვებით: „ნდობა არის ახალი რეალობის ახალი ვალუტა“.[42] საქართველოს მასპინძლობის სექტორი კარგად არის აღჭურვილი ამ ნდობის განმტკიცებისა და ახალი რეალობის გააზრებისთვის, თუკი შეძლებს ქვეყნის იდენტობის ძირითადი მახასიათებლების მობილიზებასა და გლობალურ ბაზარზე წარმატების მისაღწევად საჭირო ახალი თვისებების განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

1. შოთა რუსთაველი, *„ვეფხისტყაოსანი“*, *ციტატები* 50-ე და 53-ე სტროფებიდან.
2. Ajith De Alwis. “Coronomics – Plan your eggs and the basket!” *Daily FT*, February 6, 2020, www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109; Kate Andrews. “Coronomics: Ordinary Remedies Won’t Be Enough for a Surreal Crash.” *The Spectator*, April 4, 2020; Vladimer Papava and Vakhtang Charaia. “The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy.” *Expert Opinion*, Rondeli Foundation: Georgian Foundation for Strategic and International Studies, No. 136, 2020, www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf.
3. *Johns Hopkins University COVID-19 Dashboard*, retrieved August 13, 2020.
4. “Total Population by Country 2020: Georgia.” *World Population Review*, retrieved August 13, 2020.
5. *Johns Hopkins University COVID-19 Dashboard*, retrieved August 13, 2020; *StopCoV.ge: Prevention of Coronavirus in Georgia*, retrieved August 13, 2020.
6. “Total Population by Country 2020: Armenia.” *World Population Review*, retrieved August 13, 2020.
7. *Johns Hopkins University COVID-19 Dashboard*, retrieved August 13, 2020.
8. Hollie McKay. “Prime Minister of Georgia Explains Why the Country Has Had No Deaths from Coronavirus.” *Fox News*, April 3, 2020; Rayhan Demytrie. “Coronavirus: How ‘Three Musketeers’ Helped Georgia Fight Virus.” *BBC News*, July 6, 2020.
9. “EU Supported Project ‘Georgian Civil Society Sustainability Initiative’ Implemented Innovative Ways of Delivering Information to Prevent Further spread of COVID-19.” *Delegation of the European Union to Georgia*, May 14, 2020.
10. “Georgian, Chinese Officials Praise Lugar Lab Activities During Coronavirus Amid Russian Disinformation Campaign.” *AGENDA.GE*, May 2, 2020.
11. Isobel Cockerell. “A US-Funded Lab in Tbilisi, Georgia Fights COVID-19 — and Russian Disinformation.” *Coda Story*, March 18, 2020.
12. Rayhan Demytrie. “Coronavirus: How ‘Three Musketeers’ Helped Georgia Fight Virus.” *BBC News*, July 6, 2020.
13. Paul Stronski. “Ex-Soviet Bioweapons Labs Are Fighting COVID-19. Moscow Doesn’t Like It.” *Foreign Policy*, June 25, 2020.
14. “Executive Summary.” *World Economic Outlook: The Great Lockdown*, April 2020, p. vii.
15. *Global Economic Prospects*, A World Bank Group Flagship Report, World Bank Group, June 2020.
16. “Coronavirus: US Stocks See Worst Fall since 1987.” *BBC News*, March 17, 2020.
17. Lora Jones, Daniele Palumbo and David Brown. “Coronavirus: A Visual Guide to the Economic Impact.” *BBC News*, June 30, 2020.

18. "International Tourism and COVID-19," *United Nations World Tourism Organization Global Tourism Dashboard*, updated June 20, 2020, slide 9.

19. "Chapter 1: Global Prospects and Policies." *IMF World Economic Outlook: The Great Lockdown*, April 2020, p. 23.

20. *Global Economic Prospects*, A World Bank Group Flagship Report, World Bank Group, June 2020, p. 80 in the full report.

21. Mariam Kvrivishvili, "Presentation of the Tourism Administration of Georgia," *Joint Online Program of the George Washington University's Graduate School of Political Management and Sector 3 – Hub for Development*, May 3, 2020.

22. Colm Quinn. "The Tourism Industry Is in Trouble. These Countries Will Suffer the Most." *Foreign Policy*, April 1, 2020.

23. "International Tourism and COVID-19," *United Nations World Tourism Organization Global Tourism Dashboard*, updated June 20, 2020, slide 7.

24. Elene Karenashvili. "How Will the Coronavirus Outbreak Impact Georgian Economic Growth?" *AGENDA.GE*, March 27, 2020.

25. *Georgia: Sixth Review Under the Extended Arrangement*, IMF Country Report No. 20/149, International Monetary Fund, May 2020, ეგ. 35.

26. Colm Quinn. "The Tourism Industry Is in Trouble. These Countries Will Suffer the Most." *Foreign Policy*, April 1, 2020.

27. David Pipia. "Georgia: What Fate Awaits Tourism?" *JAM News*, April 27, 2020.

28. Andrew Roth. "Putin Bans Russian Airlines from Flying to Georgia." *The Guardian*, June 21, 2019.

29. *The World Bank in Georgia Country Snapshot*, Tbilisi: World Bank, October 2019, ეგ. 3.

30. *Supporting Jobs and Economies through Travel & Tourism: A Call for Action to Mitigate the Socio-Economic Impact of COVID-19 and Accelerate Recovery*, United Nations World Trade Organization, April 1, 2020, ეგ. 9.

31. "Rebranding Georgia's Tourism Image: Domestic Tourism Starting June 15, Int'l Tourism from July 1." *AGENDA.GE*, May 7, 2020.

32. "Coronavirus Pandemic Batters Tourism in Georgia." *EURACTIV*, March 23, 2020.

33. "COVID-19: Measures to Support Travel and Tourism: Georgia." *UNWTO Global Tourism Dashboard*, updated June 19, 2020.

34. Hollie McKay. "Prime Minister of Georgia Explains Why the Country Has Had No Deaths from Coronavirus." *Fox News*, April 3, 2020.

35. "COVID-19: Measures to Support Travel and Tourism: Georgia." *UNWTO Global Tourism Dashboard*, updated June 19, 2020.

36. "How Are Countries Supporting Tourism Recovery?" *UNWTO Briefing Note – Tourism and COVID-19*, Issue 1, UNWTO, June 2020, ეგ. 9

37. *Supporting Jobs and Economies through Travel & Tourism: A Call for Action to Mitigate the Socio-Economic Impact of COVID-19 and Accelerate Recovery*, United Nations World Trade Organization, April 1, 2020, p. 7.

38. "IBRD Offering €73.1 Mln in Emergency COVID-19 Response Funds to Georgia." *AGENDA.GE*, May 18, 2020.

39. N. Chkhartishvili and D. Maghradze, "Viticulture and Winemaking in Georgia." In Maghradze, David et al., Caucasus hand Northern Black Sea Reg*ion Ampelography, *VITIS - Journal of Grapevine Research*, 2012, გვ. 3 (169).

40. *Beyond Arrivals: Emerging Opportunities for Georgian Firms in Tourism Value Chains*, Washington, DC: World Bank Group, 2020, გვ. 17.

41. David Pipia. "Georgia: What Fate Awaits Tourism?" *JAM News*, April 27, 2020.

42. *ნდობა ახალი ვალუტაა*, UNWTO-ს გენერალური მდივნის განცხადება, UNWTO, 15 მაისი, 2020.